პარასკევი, 24 აგვისტო 1907 წ. — წელიწადი პირველი — № 185

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. რედაქტორთან სუბსიათვის საჭიროა საფოსტო მარკა. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

## „ისარი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს ამით საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ზედმეტ ფულს. შემდეგ აგვისტოდან გაზეთის ფასი: ტფილისში—ვისაც 4 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარეთ—ვისაც 4 მან. და 80 კ. ერთ.

შემდეგ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—3 მ. 50 კ. ტფილისს გარეთ—4 მ. საზღვარ-გარეთ—5 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარეთ 1 მან., საზღვარ-გარეთ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარეთ ერთი მანეთი, სხვა ადგილიდან—ორი აბაზი.

---

22 აგვისტოს 1907 წ. გარდაიცვალა

**ანდრია ქაიხოსროს ძე ფავლენიშვილი,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **მარიამი**, შვილები **მიხეილ, ვასილ და დავით**, ასული **სოფიო** და რძალი **სოფიო**.

პანაშვიდები ყოველ საღამოს 8 საათზე. გამოსვენება კვირას, ათ საათზე 26 აგვისტოს კვირაცხოვლის ეკკლესიაში საკუთარ სახლიდან (ამათუნის ქუჩა, № 18). (1—263—1)

---

26 მარიამობისთვეს, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ ქუთაისში გარდაცვლილის

**მიხეილ რომანოზის ძის შველიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დედა, ძმა და დები. (1—უ.—1)

---

**დარჩო არუთინის ძე და აზგარ დარჩოს ძე ლაზარევები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ მეუღლის, მეორე—დაუვიწყარ დედის

**ნატალია ზაქარიას ასულის ლაზარევ-სას.**

პანაშვიდი 24 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება შაბათს, 25 აგვისტოს, დილის 9 საათზე საკუთარ სახლიდან (ჩუღურეთის შესახვევი, № 10, მერვე ნაწილი) სომხეთა ღვთის მშობლის ეკლესიაში (ჩუღურეთში), იქიდან დასაკრძალავად ხოჯივანქის სასაფლაოზე. (2—6.—1)

---

25 ს ამა აგვისტოს, 12 საათზე, ტფილისში, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის დღის პანაშვიდი

**კონსტანტინე გიორგის ძის ნაცვალოვის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **ვარო გიორგის ასული ნაცვალოვისა და შვილი თამარ ნაცვალოვისა, ძმები, დები, რძლები და სიძეები: ვანო და გიორგი ნაცვალოვები. კნ. სოფიო ჯანდიერისა, თიკო ნასიძისა, ანიკო და კატო ნაცვალოვებისა, თავ. დათა ჯანდიეროვი და სოლომონ ნასიძე.** (1—264—1)

---

ვალერიან გუნიას რედაქტორობით და გამომცემლობით

**ყოველ-კვირეული მხატვრობითი ჟურნალი**

**26 აგვისტოს გამოვა**

# ნიშადური

**კარიკატურებით**

**პროგრამა**

2) სიტყვა-კაზმული მწერლობა: ლექსები, მოთხრობები, პიესები. 2) პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენში, რუსეთში და საზღვარ-გარედ 3) ფელეტონები ლექსად თუ პროზად თანამედროვე ჭირ-ვარამზე. 4) სცენები, იგავ-არაკები, საუბრები სხვა და სხვა საგნებზე. 5) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 6) ილუსტრაცია—სურათები გამოჩენილ პირთა და საზოგ. მოღვაწეთა, ნახატები. 7) კარიკატურები დღიურ ჭირვარამზე და საზოგადო თუ კერძო ცხოვრების ცოდვებზე 8) განცხადებანი ფასიანი და უფასო ყბად ასაღებად, წყალ წასაღებად.

**ფასი:** წლით 5 მან. $1/2$ წლით 3 მან., **ცალკე ნომერი 10 კაპ.**

**ხელის მოწერა** ჯერ-ჯერობით არ მიიღება, რადგან აწინდელი უგვანო წეს-წყობილების გამო ჟურნალის ბედ იღბალი გამოურკვეველია.

საჭირონი არიან

**პროვინციიდან პირიანი აგენტები და შნამიანი თანამშრომლები**

რედაქტორ-გამომცემელი **ვალერიან გუნია**

მისამართი ფოსტით: Тифлисъ, Валеріану Гуніа. რედაქციის ადრესი—მატინოვის ქ. № 9 ვერაზე.

---

**კახური ღვინით ვაჭრობა**

# „ზირზა“

ახლად მივიღეთ დიდ მალი საუკეთესო

ფასები ზომიერია **კახური ღვინოები** ფასები ზომიერია

ნიკოლოზის და გეიდენოვის კუთხე, № 17.

**ტფილისში.** (50—262—1)

---

## ტფილისის წვრილ ვაჭართა საყურადღებოდ

**კანტორა** ტფილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოებისა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე (დვორცოვი) ტფ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში № 153. კანტორა ღიაა ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 დან ორ საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

ვისაც საწევრო ბილეთი არა აქვს მიღებული, ვთხოვთ, მობრძანდნენ და მიიღონ. მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე იოსებ მერკვილაძე. (3—256—2)

---

ექიმი
**ზ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

---

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—167)

---

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (28—228—24)

---

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**

**ვენიურ და ყვინერიულ.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

ექიმი
**ე. მაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

---

**ელექტროთერაპიული**

# კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ნერვებით ავადმყოფთ დილის 12—1 ს. საღ. 6—7 ს. ვერაზე ყორღანოვის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—6.—17)

---

# სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**განჯის დიდი ქუჩა, № 3. [illegible] ბაღის მახლობლად.**

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდენკო**—შინ. ს ნეულ. კვირა 3—4 ს.

**ი. ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულ., ჰიპნოზი. ყოველდღე. 4—5 ს.

**რიდელ**—კანისა, ვენ., სიფ. ყოველდ. 4—5 ს.

**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ტაღამქაროვი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.

**გორაჟიევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

**თეთრამე**—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—3 ს.

**ბოჟოვსკი**—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.

**მონზე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.

**ექიმი ქალი იოხელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ, 11—12 ს.

**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ნევშოროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.

**გორობცოვა**—მასსაჟი, ყოველ-დღე 11—4 ს.

**რიდელი**—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.

**პივარსკი** კლინიკური ანალიზი.

**ჩუდნოვსკი** ნერ., სულ., გიპოზი ყოველდღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი. ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—25)

---

# პროფესიანალური სასწავლებელი

ა. მირიანოვისა.

23 მარიამობისთვიდან ეკენისთვის 20-მდე მიიღება მოწაფეები დილის 8-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ვასწავლით ყოველგვარ ხელსაქმეს და კრას. საგნებსაც ვასწავლით.

ადრესი: 1 თუმანოვის ქუჩა, № 23, სახლი ქუთ. სათ.-აზნ. ბანკისა. (2—261—2)

---

ქალაქ ტფილისში მცხოვრები

**კატო გაბრიელის ასული როგავა**

აცხადებს მკითხველთა საყურადღებოდ, რომ იგი ხსნის ქალების სამ კლასიან

**პროფესიონალურ ჭრა-კერვის სკოლას.**

სწავლა იწყება ოცდა ხუთ აგვისტოდან. მსურველს შეუძლია პირადი მოლაპარაკება ათ საათიდან ორ საათამდის. ადრესი: მეათე ნაწილი, გოგოლევსკის ქუჩაზე, № 53. (5—254—4)

---

ქართული მხატვრული და იუმორისტიული ჟურნალი

# „ნიშადური“

ცალკე ნომრებად გასასყიდად მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ **მ. გაჩეჩილაძეს სტამბაში „სორაპან“-ში** მადათოვის კუნძულზე.

იქვე უნდა მიმართონ ჟურნალის დასაკვეთად პროვინციის აგენტებმაც. (3—უ.—1)

---

# ჩვენი მწერლობა

**ნაწ. I: მგოსნები.**

ბიოგრაფიებით და ლექსიკონით.

შედგენილ-გამოცემული

**ს. რ. გორგაძის მიერ.**

ფასი უყდოთ **ათი შაური** იყიდება „ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა) და შემდგენელთან: ტფილისი, ვერა, არაგვის ქუჩა № 8, ევაძის სახლი.

ფოსტა-ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ, Арагвинская улица № 8. Сергѣю Романовичу Горгадзе.

წიგნის მაღაზიებს წიგნი ეძლევათ ჩვეულებრივის 20%-ის დათმობით.

იმიერ საქართველოში ამ წიგნის გაყიდვა მინდობილი აქვს ბ-ნ **ისიდორე კვიცარიძეს**: Кутаисъ. Книжн. магазинъ „Имеретія“. (10—6.—10)

---

**ტფილისის სათავად აზნაურო გიმნაზიის გამგე** აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში, სადაც მიიღებიან ყმაწვილები შვიდიდან ცხრა წლამდის, დაიწყება 10 სექტემბრიდან; ამავე რიცხვიდან დაიწყება ხელმეორე გამოცდა გიმნაზიის მოწაფეებისა. (8—6.—4)

---

დაიბეჭდა და მალე გამოვა **ივ. გომელაურის-მიერ** შედგენილი

სკოლებში შესასწავლი

# ქართველი მწერლები

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.

**მეორე** გამოცემა შევსებული და შესწორებული. (5—6—6)

---

## ტფილისი, 24 აგვისტო

სოლცარ იუბილეიზე აქვთ ამ ჟამად ლაპარაკი რუსულ გაზეთებს: აგვისტოში შესრულდა 25 წელიწადი მას შემდეგ, რაც დაკანონდა განსაკუთრებულ დაცვის წესები.

პირველად განსაკუთრებულ დაცვის წესები დაკანონდა 1881 წელს, როცა სარევოლიუციო ბრძოლა ნაროდოვოლცებისა აპოგეამდე მივიდა და იმპერატორის ალექსანდრე მეორის მოკვლით თავზარი დასცა ბიუროკრატიას. სათანადო ბრძანებაში ნათქვამი იყო მაშინ, რომ ეს წესები დროებით არის შემოღებული და გაუქმებულ იქმნება, როგორც კი სახელმწიფოში მშვიდობიანობა დამყარდება. ამასთანავე აღნიშნული იყო ვადა—სამი წელიწადი, როგორც მაქსიმუმი ამ კანონის მოქმედებისა... კანონი დიდის ბოდიშებითა და წინასიტყვაობით იყო გამოქვეყნებული და ქვეყანას ჰპირდებოდნენ, „რაც შეიძლება ფრთხილად ვაწარმოვებთ ამ წესებს, რათა მშვიდობიან მცხოვრებთ შეწუხება არ მივაყენოთ“. ვადის დადება, ბოდიშები და კანონის საჭიროების ვრცელი დასაბუთება ამტკიცებენ, რომ მაშინდელ ბიუროკრატიას კარგად ესმოდა, რა მძიმე და განსაკუთრებულს რეჟიმს აწესებდა. მართლაც, გაძლიერებული, საგანგებო და სამხედრო წესები აუქმებენ სხვა კანონებს და თითქმის სპობენ ნორმალურ მოქალაქობრივ ცხოვრებას. ასეთი წესების გამოცხადება სხვაგანაც, უფრო კულტურულ და პოლიტიკურად უფრო განვითარებულ ქვეყნებშიაც, იციან უკიდურეს შემთხვევაში, როცა, მაგალითად, აჯანყებაა; მაგრამ მოისპო თუ არა **უახლოესი** მიზეზი ამ წესების გამოცხადებისა, განსაკუთრებული წესებიც უმალვე ისპობა. საფიქრებელია, რომ 1881 წ. რუსეთის მთავრობასაც სახეში ჰქონდა ამ წესების **დროებითი** სარგებლობა. მაგრამ გავიდა სამი წელიწადი, ექვსიც, ცხრაც და აი 25-იც და „დროებით“ გამოცხადებული კანონი აქამდის მოქმედებს ბევრად უფრო მძიმედ და სასტიკად, ვიდრე გამოქვეყნების პირველ წლებში. მე-80 წლების მეორე ნახევრიდან ის **უახლოესი** მიზეზიც გაჰქრა, რომელმაც ამ „დროებით“ კანონის არსებობა გამოიწვია: ნაროდოვოლცების მოღვაწეობა შესწყდა და სახელმწიფოში გარეგანი მშვიდობიანობა დამყარდა. მაგრამ მთავრობას არც-კი უფიქრნია საგანგებო წესების მოსპობა და განსაკუთრებული რეჟიმი გადაიქცა ნორმალურად, დროებითი კანონი მუდმივ უფლებრივ მდგომარეობად.

რით აიხსნება ეს? გამოცანა ადვილია და ახსნა სრულიად უბრალო: განსაკუთრებულ რეჟიმის დაწესება და არსებობა რუსეთში გამოწვეული არაა რაიმე დროებითი ხასიათის განსაკუთრებულის მოვლენით, ვთქვათ აჯანყებით ან ტერრორიზმის მძვინვარებით, არამედ სულ სხვა მიზეზით. სწორედ მე-80 წლებში ბიუროკრატისთვის ცხადი შეიქნა, რომ ერთ მუჭა ნაროდოვოლცების ზურგს უკან მთელი რუსის საზოგადოება სდგას შეგნებულად, ხოლო შეუგნებლად, სტიქიურად მათ ხალხიც თანაუგრძნობს. მე-60 და მე-70 წლებში და მე-80 წლების პირველ ნახევარში მთავრობა ენერგიულად ებრძოდა რევოლიუციონერთა ჯგუფებს, სპობდა მათ, ამყარებდა „მშვიდობიანობას“; მაგრამ ქვეყანა ახალ ახალ მებრძოლ რაზმებს ადგენდა და პირისპირ უყენებდა მთავრობას. მაშინ ბიუროკრატია მიხვდა, რომ საქმე დროებით მოვლენასთან არა აქვს და რომ საზოგადოება ისტორიულ უფლებაში ეცილება მას—თვითმპყრობელ ბიუროკრატიას. იმ დროიდან დაწყებული მთავრობა უკვე მთელ საზოგადოებასა და ხალხს ებრძვის,—ებრძვის მოახლოვებულ რევოლიუციის დასაწყისს და რაკი ნდობა დაკარგული აქვს, რა-კი საზოგადოებისა და ხალხის საუკეთესო ელემენტებზე დამყარება, დაყრდნობა აღარ შეუძლია, იძულებულია ფიზიკურ ძალას—პოლიციას და ჯარს—მიანდოს არსებულ წეს-წყობილების დაცვა.

ამრიგად, განსაკუთრებული დაცვის წესები ის ერდად-ერთი იარაღია, რომელიც ამხედრებულ ხალხს დაუპირდაპირა მთავრობამ და რაღა საკვირველია, რომ ამ იარაღს ხელიდან არ გააგდებს, სანამ ვანზრახვა აქვს და შეძლებაც არ დაუკარგავს, თავისი ისტორიული უფლება და ბატონობა დაიცვას. 1905 წელს 17 ოქტომბერს მან მხოლოდ ერთის წუთით დაჰკარგა იმედი და დაუთმო ხალხს; მაგრამ მალე ისევ მოიკრიბა ძალა და აი დღემდის იმავ იარაღით ხელში განაგრძობს ბატონობას. ლიბერალები გაჯავრებულნი არიან, „კონსტიტუციის“ დამყარების შემდეგ მთავრობას უფლება არ ჰქონდა დროებით კანონის მოქმედების განგრძობისაო; მაგრამ მთავრობა ერთ წამსაც არ დაფიქრებულა და 14 ამა აგვისტოს კიდევ „სამი წლით“ განაგრძო განსაკუთრებულ წესების არსებობა. მართალია, გამოცდილებას უნდა დაერწმუნებინა მთავრობა, რომ განსაკუთრებულ დაცვის წესით არ შეიძლება იმ ღრმა მიზეზების მოსპობა, რომელნიც ასაზრდოვებენ რუსეთში პოლიტიკურ მოძრაობას; მაგრამ იმავე დროს ბიუროკრატიას ისიც ახსოვს, რომ ფიზიკურ ძალის შემწეობით ათ და ოც წლობით გაუმაგრებია რეაქცია და გადაუდვია ხალხის გამარჯვების მომენტი. ამიტომ ახლაც ამ იმედით გამსჭვალული განაგრ-

[illegible] ბრძოლას და სხვლებითაც არ ერიდება კანონიერების ისეთ ფორმალურ მოთხოვნას დარღვევას, როგორც არის, მაგალითად, ძირითადი კანონ[illegible], რომ ახალი კანონის [illegible] ან ძველის დროებით კანონის [illegible] გაჩერებაც სახ. საბჭოს და სათათბიროს ნებართვით უნდა მოხდეს. სასაცილოა არის რუსეთის ლიბერალების განცხადება იმის გამო, რომ მთავრობამ „კონსტიტუცია“ დაარღვია, როცა განსაკუთრებულ წესებით კანონის არსებობა განაგრძო; სასაცილოა იმიტომ, რომ მთავრობას [illegible] უტრიალებს თავში, ვიდრე ძირითად კანონების ერთის მუხლის დარღვევა: იგი [illegible] რესპუბლიკონისთვის, ე. ი. კონსტიტუციის წინა რეჟიმის აღდგენისთვის; რა მნიშვნელობა აქვს ძირითად კანონების ერთის მუხლის დარღვევას, როცა მთლად მათი მოსპობა განიზრახეს?!

## ახალი ამბავი

✦ **ყუმბარები და იარაღის აღმოჩენა.** 23 აგვისტოს, ნაშუადღევის 1½ საათზე, შუა ბაზარში ოქრომჭედლების ქუჩაზე ერთის სახლის სარდაფში პოლიციამ აღმოაჩინა იარაღის საწყობი. იპოვნეს 2 ყუთი ყუმბარებით სავსე, რევოლვერის 7000 პატრონი, თოფის პატრონი 800 და თოფები. [illegible] არ დაუპატიმრებიათ.

✦ **[illegible] გადასახლება.** ტფ. გრ.-გუბერნატ. განკარგულებით, [illegible] ვიატკის გუბერნიაში ხუთის წლით [illegible] ურუშაძე და ქალ. ცინცაძე [illegible] 13 ივნის [illegible] 250 [illegible] გუბერნიაში [illegible]

✦ **მკვლელობა.** 22 აგვისტოს, საღამოს [illegible] საათზე, [illegible] კონდუქტორი [illegible] ჯელ დაუხლია და იქვე მოუკლავს კალანდია. მიცვალებულის გვამი რკინის გზის საავადმყოფოში წაასვენეს. მკვლელი მიიმალა.

✦ **ქალი ტეხნიკოსი.** ტერ-ტერიანცის ქალმა, რომელმაც მოსკოვის სახუროთმოძღვრო კურსები გაათავა, ტფ. ქალაქის გამგეობას ადგილი სთხოვა. თხოვნა გამგეობის წევრს ხატისოვს გარდასცეს. პირველი მაგალითია ჩვენში ტეხნიკოსი ქალი.

✦ **დაჭრა და მოკვლა.** 22 აგვისტოს, დილის რვა საათზე, ბაქოში ორის ტყვიით დასჭრეს აღმოსავლეთის საზოგადოების სახელოსნოს გამგე. სროლაზე დარაჯმა მიირბინა. დარაჯი მოჰკლეს. მკვლელი მიიმალა.

✦ **მკვლელობანი კახეთში.** თელავში 21 აგვისტოს ბაზარში მოუკლავთ სტრაჟნიკი ჯაჯანიძე. ჯუგაანში ვაჭარს მიხეილ მათიაშვილს თოფით მოუკლავს თავისი ძმა მახარე მათიაშვილი.

✦ **დაჭრა.** 22 აგვისტოს, საღამოს ათ საათზე, მთავარანგელოზის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა დანით მუცელში დასჭრა ტფილისის მოქალაქე არტემ ზახაროვი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. დამჭრელი მიიმალა.

✦ **სესხზე უარის თქმა.** ამას წინად ტფ. ქალაქის გამგეობამ ითხოვა სახელმწიფო ბანკიდან მისცემოდა 65,000 მანეთი სესხი ტფილისის გარნიზონის ბინების დასაქირავებლად. ახლა გუბერნატორი აუწყებს ქალაქის თავს, რომ ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებული არ იქნება, რადგან ბანკის წესდებას ეწინააღმდეგება.

✦ **იარაღის საწყობზე თავდასხმა.** თერგის ოლქის ქ. გეორგიევსკში იარაღის საწყობს ვიღაცეები თავს დასხმიან. დასჭრეს მოდარაჯე სალდათი.

✦ 21 აგვისტოს 10 საშოლდიცო ნაწილის ბოქაულმა ელისაბედის ქუჩაზე რამდენიმე ბაღი დათვალიერა და იქ გაყვანილი სარწყავი არხი ძლიერ ბინძურად ნახა. შესაფერი ოქმები შეადგინა და პოლიცმეისტერს წარუდგინა.

✦ ჩვენი გაზეთის მე-183 ნომერში ახალ ამბად მოხსენებული იყო, რომ ბასეინის ქუჩაზე, ნაძალადევში, გიორგი შიხაშვილის საწვრილმანო დუქანში რევოლვერით ხელში ვიღაც მისიუკი შევარდა და გაძარცა მოუნდომათ. ნამდვილად, როგორც შემდეგ შევიტყეთ, საქმე სხვანაირად ყოფილა. შიხაშვილის საწვრილმანოში მისულა ალექსანდრე მისიუკი ძალზე მთვრალი და უწმაწური სიტყვებით ლანძღვაგინება დაუწყია. შიხაშვილთან მისი ახალგაზრდა დებიც ყოფილან. შიხაშვილს უთქვამს, ქალებთან ნუ ილანძღებიო და უთხოვნია მია დუქანს მოშორებოდა. მთვრალს მაინც თავისი არ დაუშლია, მაშინ შიხაშვილს ხელი წაუკრავს და გაუგდია. მისიუკი წასულა, რამდენიმე ხნის შემდეგ მოსულა რევოლვერით ხელში და ისევ თავისას მოჰყოლია. მაშინ პოლიციელებს შეუნიშნავთ, გამოსდევნებიან და დაუპატიმრებიათ.

✦ 22 აგვისტოს პოლიციამ დააპატიმრა სპარსეთის ქვეშევრდომი დავრიშ ისმაილ ყული-ოღლი, მაჰმედ-ასკარ-ოღლი და ნალი აბდულ-ოღლი. იმათ 21 აგვისტოს დავით ბარნოვს და მის ამხანაგებს ორი ვერცხლის ქამარი და 35 მანეთის ნივთები მოჰპარეს.

✦ 22 აგვისტოს, ღამის პირველ საათზე, ორბელიანის ქუჩაზე უცაბედად დამბლა მოუვიდა და და გარდაიცვალა ვანქის სობოროს დეკანოზი გეურქ ხ რაზიანცი.

✦ 22 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე, ელექტრონის ტრამვაით მიმავალ სამხედრო საავადმყოფოს ორდინატორს ექიმს ვნუკოვს ვორონცოვის ძეგლთან ვიღამაც ოქროს საათი მოპარა ძეწკვით, ღირებული 260 მანეთად. ექიმმა ეჭვი ვაგონის კონდუქტორზე მიიტანა.

## ხოლერა

(დეპეშები)

**ნიჟნი ნოვგოროდი.** ავად გახდა 8 კაცი, გარდაიცვალა 4. ვასილ-სურსკის მაზრის სოფ. ბრუდიმში ავადგახდა და გარდაიცვალა ერთი კაცი.

**ასხაბადი.** „კავკაზ და მერკური“-ს საზოგადოების გემით „მიხეილი“-ით კრასნოვოდსკში მიდიოდა ერთი მგზავრი. იგი ხოლერით ავად გახდა და გარდაიცვალა. დაასაფლავეს ზღვაში.

**ვლადიმირი.** ვლადიმირის გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშად იქმნა გამოცხადებული.

## დეპეშა

(შემთხვევით)

**ბაქო.** გაზეთ „ზაკავ.“-ში დაიბეჭდა ცნობა, ვითომ თათრებსა და სომეხთა შორის რაღაც საიდუმლო მოძრაობა იყოს და ვითომ მოსალოდნელი იყოს შეტაკება. ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ჩვენ თავს განვაცხადოთ, რომ აღნიშნული ცნობა სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან სომხებსა და თათრებს შორის არაფერი ამგვარი არა ხდება. პირიქით, გადაჭრით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მათ შორის საუკეთესო ურთიერთობა დამყარდა.

მომრიგებელ კომისის წევრები: **ისაბეგ გაჯინსკი, არსენ ხატისოვი, ასადულა ახმედოვი. ჰაიკ ტერ-მიქელიანი.**

**ბაქო.** გაზ. „ზაკავ.“-ს მე-168 ნომერში დაბეჭდილია დეპეშა ბაქოდან რაღაც ყრუ მოძრაობის შესახებ თათრებსა და სომხებს შორის. ჩვენ ვაცხადებთ, რომ არაფერი ამგვარი ბაქოში არა ხდება. კორესპონდენტის ცნობა სიმართლეს მოკლებულია.

«ბაკინ. იზვეს.»-ს რედაქტორი **მელქუმიანი.** «კასპი»-ს რედაქციის გამგე **ან. ვეინბერგი.**

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ქალაქის გამგეობამ ორი ხიდი განაახლა. განახლება მხოლოდ ფიცრების გამოცვლაში გამოიხატა. რაც შეეხება ხიდის მეორე ნაწილს, რომელიც რკინეულობისაგან შესდგება, არ გვეხსოვს, რომ ქალაქს ამ ნაწილისათვის რაიმე რემონტი ექნას. და რომ ხიდების ეს ნაწილი განახლებას საჭიროებს, ამაში ყველა ხიდზე გამვლელ-გამომვლელი დარწმუნებულია. საჭიროა სპეციალისტებს გაასინჯონ ხიდების ქვედა ნაწილები.

✦ 21 ამ თვეს ღამე არქიელის გორაზე პოლიციამ დააპატიმრა ვანო ბოკუჩავა და ორი ძმა მაღლაფერიძეები, ხოლო ლ. ლორთქიფანიძის სახლში—სამი უცნობი, სოხუმიდან ჩამოსული. მათი გვარები ვერ გავიგეთ. აბრალებენ ექსპროპრიატორობას. ოთხი მათგანი ციხეში გაუგზავნიათ, ხოლო უკანასკნელი ორი გაუნთავისუფლებიათ.

✦ 10 სექტემბერს იწყება ებრაელების უქმე კარვობა, რომელიც 19 სექტემბრამდე გასტანს. ებრაელებს აზრად აქვთ დღეებში დაჰკეტონ დუქნები და საქროები.

✦ 19 ამ თვეს ქუთაისის ქალაქის თეატრში დანიშნული იყო ათ იაპონელ გეიშების წარმოდგენა. ვიღაც ივანოვი, რომელიც ამ გრუპას ანტრეპრენიორობდა, მეტად გრძელ და ჭრელ აფიშებში ბევრ რამეს გვპირდებოდა: იაპონელების ზნე-ჩვეულებას, ცეკვა-თამაშსა და სხვა რამეების გაცნობას. თეატრში შესავალ ბილეთების ფასი ჩვეულებრივზე მომატებული იყო. თეატრს დიდ-ძალი საზოგადოება დაწყდა. პარტერი, ლოჟები და ბალკონები ხალხით იყო სავსე, რაც შეიძლებოდა, ზედმეტი სკამებიც მიუმატეს. ყველა გულის ფანცქალით მოველოდით უცხო სტუმრებისა და მათ ზნე-ჩვეულების ნახვას, მაგრამ სასტიკათ მოვტყუვდით. წარმოდგენა სინემატოგრაფით დაიწყო. გვაჩვენეს რამდენიმე უცხო სურათი. მეორე განყოფილებაში უნდა გვენახა ათი მზეთუნახავი, როგორც ამას მათი ანტრეპრენიორი აცხადებდა. ფარდა ასწიეს და სცენაზე დავინახეთ ათი ტიკინი, არც სიმღერა, არც თამაში და არც მიხვრა-მოხვრა არ უვარგოდათ, სილამაზეზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება. წარმოდგენამ გასტანა საათ-ნახევარს. შემოსავალი შვიდას მანეთს აღემატებოდა.

## პრესსა

პრესის მდგომარეობა და რაოდენობა ჟურნალ-გაზეთებისა ხშირად უტყუარი საზომია ერის კულტურისა და გონებრივ განვითარებისა. ამის გამო „ზაკ.“-ში დაბეჭდილია წერილი ვინმე „სალმანისა“, რომელიც ამ საზომს ხმარობს სომეხთა კულტურისა და გონებრივ განვითარების გამოსაკვლევად.

1897 წლის აღწერით გუმრში სომეხთა შორის წერა-კითხვა იცოდა 31%-მა, ახალქალაქში 40%, ახალციხეში 38%, ნოვობაიაზეთში 17%.

ავტორს მოჰყავს ქართული ქალაქები და სომხებს ამ მხრივ ადარებს ქართველებს.

ქუთაისში ქართველთა შორის წერა-კითხვა იცოდა 47%, ოზურგეთში 53%, გორში 49%, სიღნაღში 31%. საერთოდ სომეხთა ოთხ ქალაქში ცხოვრობს 64,840 სომეხი. მათ შორის წერა-კითხვა იცის მხოლოდ 31,5%-მა. ოთხ ქართულ ქალაქში ცხოვრობს 47841 ქართველი, მათ შორის წერა-კითხვა იცის 45%-მა, ე. ი. 14%-ით მეტმა.

ავტორის ანგარიშით ყველა სომხური ჟურნალ-გაზეთები იბეჭდება 17000 ცალი, ე. ი. 490 სულზე მოდის ერთი ცალი გაზეთისა.

ჩვენის აზრით 17000 ცალი იბეჭდებოდა მხოლოდ ერთობის დროს, ეხლა კი მისი ნახევარიც არ იბეჭდება. ამდენივე მკითხველი ჰყავდა ქართულ პრესას [illegible] ერთობის დროს, მაგრამ ეს რიცხვი ამ ჟამად განახევრდა. ასეთივე ამბავი დატრიალდა რუსულს და სომხურს პრესას. ეხლა რომ თითო ცალი სომხური გაზეთისა ვიანგარიშოთ 1000 სულზე, შეცდომა არ იქნება. ზემოხსენებულ წერილის ავტორის ერთ ნაცნობს 80 სომხური სოფელი დაუვლია და მხოლოდ 7 სოფელში აღმოუჩენია გაზეთი და ჟურნალი.

ცხადია, რომ ამის შემდეგ სიყალბედ და მოტყუებად უნდა ჩაითვალოს ლაპარაკი იმის შესახებ, ვითომ „ბეჭდვითი სიტყვა გავრცელებული იყო ხალხის ფართე მასსაში.“ უმეცარსა და გაუნათლებელ მასსას არაფერი აინტერესებს გარდა იმისა, რაც მისი ცხოვრების ინტერესებს შეეხება. ამიტომ მხოლოდ კარგს, ყველასთვის ხელმისაწვდომსა და სახალხო სკოლას შეუძლიან დაიხსნას ხალხი უმეცრებისა და სიბნელის მონობიდან.

* *

„ნოვოე ვრემიაში“ ყველაფერი აირდაირია: ერთი რეპრესიებს თხოულობს, მეორე თვითმპყრობელურ კონსტიტუციას, მესამე მასონურ ორგანიზაციის შემოღებას, მეოთხე კიდევ რეფორმებსა და რეპრესიების შენელებას. მენშიკოვი ერთ და იმავე დროს რეაქციასაც თხოულობს და რევოლუციის გაჭყლეტასაც. არც დანარჩენი თანამშრომლები აკლებენ, მაგრამ პრემიერ მინისტრის ძმა სტოლიპინი სულ სხვანაირად ფიქრობს:

„შემცდარი აზრია, ვითომ დამარცხებული რევოლუცია თავის ბედს შეურიგდება და შურს არ იძიებს. ვთქვათ, რუსეთში დიქტატურა შემოიღეს, მაგრამ ყველას გულში მაინც ვერავინ ჩაიხედავს. პოლიცია ფრთხილობს, დამნაშავეს ხუთი წუთის შემდეგ ახრჩობენ, მაგრამ ქალაქში სადღაც ერთი ტერორისტი იმალება. ქალაქს ჩხრეკენ, პოულობენ მას და ახრჩობენ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წესი იმ ქალაქში 20 ახალ ტერორისტს შექმნის. არ შეიძლება ადამიანის შეწუხება, არ შეიძლება მისი სიწყნარის დარღვევა. შეწუხებაზე ის აჯანყებით გიპასუხებს. აი მაგალითიც: იალტის დიქტატორი დუმბაძე პატიოსანი, გამბედავი და ფიცხი კავკასიელია. მან ხულიგანობა მოსპო, მაგრამ ხალხი მის წინააღმდეგ საშინლად აღშფოთებულია. აბა გააჩინეთ მთელ რუსეთში ასეთი მძლავრი დიქტატურები და ნახავთ რა მოხდება. ამბობენ, კადეტები არა ცხრებიანო, მერე რა ვუყოთ, ერბოში ხომ ვერ მოვხრაკავთ? უნდა მოისპოს ნიადაგი უკმაყოფილებისთვის და არა უკმაყოფილო ხალხი.“

ვნახოთ რას იტყვის მისი თანამოკალმე მენშიკოვი.

* *

მიუხედავად დიდის პოლიტიკურისა და ეკანომიურის კრიზისისა, რომელსაც ახლა განიცდის რუსეთი, პროცესსი ბურჟუაზიის ზრდისა და კაპიტალის შეგროვებისა არა თუ არ შეჩერებულა თურმე, პირიქით, განვითარებულა და გაძლიერებულა კიდეც. ამას შესახებ საინტერესო წერილია დაბე-

## ფელეტონი

### ი უ დ ა

(ვუძღვნი დღევანდელ იუდებს)

წარვიდა ჟამი.. ახალ ხანაში
თავისუფალმა სიომ დაჰბერა,
ლაჟვარდს შეახო მნათობმა სხივი,
აღმოსავლეთმა წითლად დაჰფერა.
მისმა დიადმა სანახაობამ
ჩაჰბერა სული მიმკვდარ ქმნილებას,
წინ გადუშალა საასპარეზო
ხალხის საერთო სურვილს და ნებას.
შეგნების კალთამ გაშალა ფრთები,
თან მოციქულიც გარდმოევლინა,
რომ ტანჯულთ-შორის ჭეშმარიტების
რწმენა აღეძრა და აღედგინა.
იბრძოდა სიტყვით, იბრძოდა საქმით,
წამებულთათვის ცრემლებსა ღვრიდა;
მაგრამ გამოჩნდა ბოროტი სულიც,
ფუფუნებაზე ძმამ ძმა გაჰყიდა.
თვითონ უცქერდა როგორ შებოჭეს,
მის პიროვნება დაჰგმეს, შელახეს,
მართალი სული მოჰკლეს წამებით,
უზაკველობას ხელი შეახეს!..
მან კი ამაში ჯილდო მიიღო,
ხედავ,—უსირცხვილოდ დადის,—ატარებს.
კარში ცრემლსა ღვრის, ვითომ წმინდაა,
ცალკე ნიშნს უგებს, გულში ხარხარებს.
მაგრამ იმის შუბლს, მრავლად დალარულს,
ზედ აწერია უშლელი ხაზით:
„ამან გაყიდა სიმართლის მთქმელი
და კვლავც სავსეა მგესლავი ბრაზით!..“
უღირსო პირმშოვ, ფარისეველებს
გადაუყარე ეგ სისხლის ჯილდო,
მოძებნე ხის შტო—უდაბურს ტყეში,
რომ დასახრჩობად ზედ დაეკიდო.
იქნება ამით მაინც წარეცხო
ეგ უკუღმართი რამ მოქმედება,
მით ღირსი გახდე და ხალხმა მოგცეს
ნამდვილ „იუდის“ სახელ-წოდება!..

**ხოლ. გ—მე.**

* *

ვით შავსა ნისლსა შემოდგომობით
მინდორი, ველი დაუბურია,
იმ ყოფაშია აწ ჩემი გულიც,
სევდებისაგან დაჩაგრულია.
ვხედავ მშრომელ ხალხს აოხრებულსა.
უღელ ქვეშ ჰკვნესის და იტანჯება;
მოსისხლე მტერი არავის ინდობს,
მართალს ჯვარს აკრავს—არ ებრალება.
უწყალო ხელმა ბასრის მახვილით
მოუკლა ოჯახს მამა—მკვებელი;
ეს არ აკმარა ობლად დარჩენილთ,
ცეცხლს მისცა სარჩო-საბადებელი!
ტურფა ქვეყანა აყვავებული
ბნელს საპყრობილედ გარდაქცეულა;
ოჰ, ვინ მოსთვალოს თუ რაოდენი
უმანკო სისხლი აქ დაქცეულა!
ტანჯვაა მხოლოდ ჩვენი ცხოვრება!..
შავია იგი, ვითა აჩრდილი;
მოჰკვდები, მაშინ თუ მოისვენებ,—
ცოცხალს თანა გდევს კვნესა-ტირილი!..
მთვარეც დაბნელდა... არ სჩანს ვარ-
გული სევდებით შეხუთულია; [სკვლავი.
თუ ირგვლივ ტანჯვა გამეფებულა,
მაშ სადღა ვპოვოთ სიხარული?!.

**ა. შანშიაშვილი.**

### არჩევნების შესახებ

მივიღოთ მონაწილეობა თუ არა მესამე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევაში,—რასაკვირველია, ეს ტაქტიკური საკითხია და მას პრინციპიალური მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ არსებითად საპარლამენტო კანონმდებლობის მომხრენი ვართ და გვწამს, რომ იგი დაეხმარება ჩვენის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიურ მიზნის განხორციელებას. ხოლო ეს სრულებით არ გვავალებს, მივიღოთ მონაწილეობა რუსეთის მესამე სათათბიროს მოღვაწეობაში. უკანასკნელი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საკანონმდებლო დაწესებულებაა სათათბირო, ან იმაზე, თუ რამდენად ემსახურება მესამე სათათბირო საპარლამენტო წესწყობილების დამყარებას რუსეთში, რევოლუციის განვითარებას.

გამოვიკვლიოთ ერთიც და მეორეც და მაშინ შეგვეძლება ვთქვათ, რა უფრო შეეფერება ჩვენს ტაქტიკას—მესამე სათათბიროში მონაწილეობის მიღება, თუ არა.

ბევრს სწამდა, რომ რუსეთის დღევანდელს სათათბიროს შეუძლია შემოქმედება, კანონების გამოცემა, მაგრამ ახლა, ორი წლის გამოცდილების შემდეგ, მარტო მემარჯვენეებს თუ შერჩათ ასეთი რწმენა. პირველს სათათბიროს უფრო შეეძლო საქმის გაკეთება, იგი მეტ უფლებიანი იყო, მეორე ძლიერ შესუსტდა, ხოლო მესამე, რომელსაც ჯერ არ დაუწყია მოქმედება, მაგრამ რომლის არსებობის პირობებიც დღესავით ნათელია, ყოვლად უღონო და უნაყოფო იქნება. ეს იმიტომ, რომ დროებით რევოლიუციონური ტალღა დაეცა, რევოლიუციამ იკლო და სამაგიეროდ განვითარდა რეაქცია. ყველა ჰხედავს, რომ ისტორიულ ოქტომბერ-დეკემბრის დღეებიდან აქამდის ჩვენ წინ არ წავსულვართ. თუ მაშინ ხალხის ბატონობა და მთავრობა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და თუმცა დავა გადაწყვეტილი არ იყო, მაგრამ ისიც იყო, სასწორი ხალხისკენ უნდა გადახრილიყო, დღეს ძალა ისევ ხალხის ხელშია, მთავრობამ დაიბრუნა მატერიალური ძალების გამგებლობა და სანამ შერჩება, ბატონობაც მისი იქნება.

ამას რომ ვამბობთ, სრულებით არა ვფიქრობთ, რომ რევოლიუცია დამარცხდა, გათავდა. არა, რევოლიუციის დასასრული ჯერ შორს არის. რევოლიუცია კვლავ ცოცხალია, იგი ღრმად შედის ცხოვრებაში, მაგრამ მუშაობს ფარულად, ღონეს იკრეფს, რაზმდება, ხოლო დღეს მისი არსებობა თითქოს პოტენციალურია და ჯერ არ დამდგარა ჟამი იმის აქტიურ გამოსვლისათვის, როგორც იყო ოქტომბერ-დეკემბერში. დღეს აქტიური ძალა რევოლიუციისა სუსტია. აი, ამაზეა დამოკიდებული სათათბიროს არსებობა და მოქმედება. ეს ცი ურთიერთობა ხალხსა და მთავრობის შორის, ძალების ამგვარი განაწილება სწყვეტს სათათბიროს საკითხს. სათათბირო აკეთებს იმას, რაც სურს გამარჯვებულს, ბატონს; სათათბირო იმის ნებას ასრულებს, ვისაც უფლება და ძალა აქვს ხელში. სათათბირო აკანონებს იმას, იმ ძალების განაწილებას და ურთიერთობას, რომელიც უკვე მომხდარა და არსებობს ცხოვრებაში; სათათბირო ფაქტის შედეგია და არა თვითონ ფაქტის მიზეზი, სათათბირომ უნდა დასწეროს, მოაწყოს, დაალაგოს უკვე მომხდარი მოვლენები. სათათბიროს არ შეუძლია თავის თავად ვისიმე უფლება შეზღუდოს, ვისმე ბატონობა ჩამოართვას, შეუმციროს ძალა, მას ძალუძს მხოლოდ გამოხატოს, გამოსთქვას, დასწეროს უკვე არსებული უფლება.

დღეს რევოლიუცია არ გათავებულა, ხალხს არ დაუმორჩილებია მტერი, არ ჩამოურთმევია უფლება და ძალა ფაქტიურად, მანამდის კი სათათბირო აუცილებლად უნაყოფო იქნება, ის ვერც ერთს კანონს ვერ გამოსცემს. დღევანდელ პირობებში სათათბირო ვერ მოახერხებს კანონმდებლობას, ვერ მოახერხებს, რაიმე გავლენა იქონიოს სახელმწიფოს წესწყობილებაზე. ეს თითქმის აღარავისთვის არ არის საიდუმლო დღეს. კანონდებლობა ვერ გაგვიწევს სათათბიროში. მაშ წავიდეთ საგიტაციოდ და სადემონსტრაციოდ? ვინც ამ უკანასკნელ მიზნისთვის მოითხოვს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას (ასეთნი არიან ზოგიერთი მემარცხენენი), ის ამბობს: სათათბიროს შემწეობით ჩვენ უნდა გამოვააშკარაოთ ხალხის წინაშე არა საკად[illegible]

ქდილი გაზეთ „რუსსკ. ვედ.“-ში, რომლის ავტორი, ბ. იასნოპოლსკი, სარგებლობს თავის გამოკვლევისათვის შენახველ კასების ცნობებით. ავტორი სწერს:

პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრების დეზორგანიზაციას უკანასკნელ წლებში თითქმის არ ჰქონია გავლენა კაპიტალისტების მოგროვებაზე.—ომი, რევოლიუცია, შიმშილობა—ყველა ეს მოვლენანი, რომელთაც შეამცირეს ქვეყანაში წარმოება,—ვერას გამხდარა იმ ღრმა პროცესსის წინააღმდეგ, რომელსაც სახელად ეწოდება „პირველდაწყებითი კაპიტალისტური მოგროვება კაპიტალისა“; პირიქით, ამ კრიზისის დროს ეს პროცესსი თითქოს გაძლიერებულა კიდეც, ნამეტურ წვრილ კაპიტალების მოგროვების პროცესსი. ეს უტყუარად მტკიცდება იმ ცნობებით, რომელნიც გამოაქვეყნეს სახ. შემნახველ კასსებმა, სადაც ერი ინახავს შეგროვილს ფულს. აი ცნობები წვრილ კაპიტალების შეგროვების შესახებ: 1905 წლის 1-ლ იანვრისთვის სულ შემნახველ კასსებში იყო მიბარებული 910,6 მილ. მანეთი. 1905 წლის „სარევოლიუციო დღეებში“ შეშინებულმა ხალხმა გაიტანა კასსებიდან 148,6 მილიონი მან., ე. ი. თითქმის 16½% შენახული ფულისა. მაგრამ გავიდა დრო, შიში გაჰქრა და კასსები ისევ აივსო მოგროვილ ფულით. ამ მხრით 1906 წელი არა ჩვეულებრივს მოვლენას გვიხატავს: წინად შეგროვილსა და მიბარებულ ფულს სულ 8 თვის განმავლობაში 123 მილიონი მანათი მოემატა. ახლაც ყოველ თვე კასსებში შედის ორჯელ უფრო მეტიფული, ვიდრე წინა წლების თვე და თვე შედიოდა. უეჭველია, ერთის მხრით ასეთი განსაცვიფრებელი ზრდა ფულის მიბარებისა სახელმწიფოსათვის აიხსნება ცარცვა-გლეჯით და ექსპროპრიაციებით, რომელიც ასე სამწუხაროდ გავრცელდა ბოლო ხანს: ხალხს ეშინია ფული ხელში ჰქონდეს და საქმეებისთვის ატრიალოს. მაგრამ უმთავრესი მიზეზი ამ ზრდისა მინც სხვაა, სახელდობრ თანდათანი განვითარება წვრილ საქალაქო და სასოფლო ბურჟუაზიისა.

ბოლოს ავტორი დასძენს, რომ რუსეთში მალე ისევ აღყვავდება მრეწველობა, რადგან „პირველ დაწყებით კაპიტალების ზრდა“ ერთობ დიდი არისო.

***

ხვალ მოსკოვში კვლავ იწყება ერობის წარმომადგენელთა კრება. ასეთი კრება, ორის თვის წინად, ივნისში, კიდევაც ჰქონდათ მემარჯვენე საერობო მოღვაწეთ და გაზეთები გაკვირვებულნი არიან რათ დასჭირდათ ასე მალე მეორე კრების მოწვევაო. „რუსსკ. ვედ.“-ს ვერც-კი აუხსნიათ ასეთი გამოცანა:

ადგილობრივ თვითმართველობის პროექტის განხილვა სრულებითაც არ აინტერესებს ამ მოღვაწეთ, რაც დაამტკიცეს კიდეც წარსულ კრებაზე. სათათბირო ამ ჟამად არ მოქმედობს და, მაშასადამე, პროტესტის გამოცხადება საჭირო აღარაა. მაშ, რისთვის იკრიბებიან მემარჯვენე საერობო მოღვაწენი, ვერ მიმხვდარვართ...

თავის მხრით გაზეთი „რეჩ“-ი ცდილობს გამოცანის ახსნას და ამბობს:

ვგონებთ, საქმე სრულიად უბრალოდ აიხსნება. მემარჯვენე საერობო მოღვაწეებმა და თავად-აზნაურებმა ერთობ შეირცხვინეს თავი ივნისის კრებაზე: მეტის-მეტი რეტროგრადობა გამოიჩინეს და რა-კი არჩევნები მოახლოვდა და „ჭეშმარიტ რუსების“ გამარჯვების იმედი ყველას დაეკარგა, ერობის დღევანდელ წარმომადგენელთ და თავად-აზნაურობას ჰსურთ ცოტათი მაინც თავი გაილამაზონ: მარცხნივ მიიწევიან, რათა არჩევნების წინ საზოგადოების ერთის ნაწილის გული მაინც მოიგონ...

კადეტებს მაინც იმედი აქვთ, რომ ბოლოს და ბოლოს თავად-აზნაურობის უმეტესობა მათ მხარეზე გადავა.

## ციხიდან

(საზოგადოების საყურადღებოდ)

გაზეთებმა დიდად სამწუხარო ამბავი მოგვიტანეს: ხოლერა, ეს ულმობელი აზიური სენი, სხვათა შორის, ტფილისსაც უახლოვდება. იმის გასავრცელებად და გასაძლიერებლად ჩვენში, როგორც მთელ რუსეთში, ნიადაგი სიკმაოდ არის მომზადებული, თუ მხედველობაში მივიღებთ ეგრედ წოდებულ „დაბალ წრის“ გაჭირვებულ, უკანასკნელ ზომამდე შევიწროებულ და გალატაკებულ მდგომარეობას. სამწუხაროდ, უნდა ვაღიარებით ისიც, რომ ციხეებში კიდევ უფრო მეტადაა ნიადაგი მომზადებული ხოლერისა და სხვა ამ გვარ გადამდებ სენისათვის: დახშულ, დამძარებულ ჰაერით სუნთქვა, მთელი წლობით ცხოვრება ყოველგვარ ჰიგიენურ პირობებს მოკლებულ ჩაკეტილ კამერებში, სადაც განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ერთის ადგილს სამ ოთხი სცხოვრობს, დამპალ, აშმორებულ საჭმლით საზრდოობა და მრავალი სხვა ამისთანა, რასაკვირველია, შესაფერ ნაყოფს გამოიღებს და სულ ახლო მომავალში, მოსალოდნელია, აზიელი სტუმარი ჩვენც გვესტუმროს, თუ დროზე არ მიიღეს მის წინააღმდეგ ზომები. ამაზე, როგორც სჩანს, ყურს არავინ იბერტყავს და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები, რომლებითაც სავსეა ციხეები, ბედის ანაბარად არიან დატოვებული. შველაა საჭირო, სანამდის არ დაგვიანებულა. მივმართავთ მოწინავე საზოგადოებას, აღამაღლოს ამაზე ხმა და მოაგონოს იმას, ვისაც ჯერ არს ვალდებულება—შექმნას ციხეებში ჰიგიენური პირობები და მით უზრუნველ-ჰყოს დატყვევებულების სიცოცხლე ახალ განსაცდელისაგან მაინც. **ია—ნარი.**

# პროვინციის ცხოვრება

**ლეჩხუმი.** 17 აგვისტოს რაჭიდან მომავალ პლატონ მიქაბერიძე გასცა ვიდაცამ. დაედევნენ ბოქაული ასლან კვიტაშვილი თავის დარაჯებით. დაეწივნენ საირმის ბოლოში და აუტეხეს სროლა. თოფის კვამლში გახვეულმა მიქაბერიძემ სროლითვე უპასუხა. ამასობაში მოაწიეს ალპანაში. აქ დაატყო მიქაბერიძემ, რომ საქმე ცუდად იყო და გადაეშვა მდინარე ლაჯანურში, მაგრამ ოდროდ-ჩოდროდ ლაჯანურში ცურვა ვერ მოახერხა. ტყვია მაინც მოჰხვდა მარცხენა ფეხში. მიქაბერიძემ მაინც კაი ხელა მანძილი გაირბინა, დაჯდა და ჭრილობა შეიხვია. დაჭრილი მიქაბერიძე ჯალაბერზედ დაკრული წაიღეს დაიდაში.

—

**სოფ. მუხრანი** (დუშეთის მაზრა). გამეფდა რეაქცია და ათასობით ბიჭ-ბუჭებმა თავები წამოჰყვეს და ურცხვად დათარეშობენ სოფლებში; ზოგი მათგანი პარტიის წევრებად აცხადებს თავს და ზოგი კი ორგანიზაციის ვითომდა გადაწყვეტილებით მოქმედებს. 16 აგვისტოს აქაურ მღვდელს შაქრო მიქაძეს ოთხი კაცი მიუცვივდნენ სახლში, სადამოს 8 საათზე, და ასტეხეს რეველიუერების სროლა. მოსამსახურე ბიჭები დაირეკეს, თვითონ მიქაძე კი ოთხის ტყვიით დასჭრეს ხელსა და გვერდში. საგულისხმო ერთი ის არის, რომ ეს გაჟბატონები აცხადებდნენ, ჩვენ ორგანიზაციის გადაწყვეტილება მოგვყავს სისრულეშიო. არა ნაკლებ მოქმედებენ აგრეთვე სოფ. ძალისშიც. გიდაცა გაჟბატონებს მიუწერიათ აქაურ გლეხისთვის შაქრო აბაშვილისთვის წერილი; უშვერის და ქუჩურის სიტყვებით დაწძავენ აბაშვილს და, ასე წარმოიდგინეთ, ფულის გინებასაც კი არ ერიდებიან. აშკარაა, ეს გაჟბატონები არავითარ პარტიას ან კავშირს არ ეკუთვნიან, მით უფრო, რომ შაქრო აბაშვილი გულშემატკივარი კაცია. მან საკუთარი წისქვილიც კი დაუთმო უფასოდ შარშან თიბათვეში. **მ—ნო.**

**სოფ. ბანძა** (სამეგრელო). ჩვენს საზოგადოებაში დაახლოვებით 1000-მდე კომლია და ამდენ მცხოვრებს რიგიანი სკოლა არ მოეპოვება. მართალია არსებობს ორკლასიანი სამრევლო სკოლა, მაგრამ ეს სკოლა იმდენს ვერაფერს იძლევა. არ არსებობს აგრეთვე ქალების სკოლა. სანთლით რომ ეძებდეთ, ერთ ქალს ვერ ნახავთ აქ წერა-კითხვის მცოდნეს. მითქმა-მოთქმა ბევრია შესახებ სკოლის დაარსებისა, მაგრამ მეთაური კაცი არ არის, რომ იკისროს ეს საქმე.—სამკითხველო ხომ ხსენებითაც არავის გახსენებია. სამკითხველოს ადგილი უჭირავს დუქანს და სხვა ამგვარ გასართობს.

აქაურები დიდ გაჭირვებაში არიან უექიმობით. ავადმყოფის პატრონი იძულებულია ხონსა და ნაოდალევში წავიდეს 15—20 ვერსზე, რომ ექიმს მიმართოს. შეკაზმული ცხენი თანვე უნდა წაიყვანოს, რომ ექიმს ფეხით არ მოუხდეს სიარული, ამ დროს განმავლობაში-კი შეიძლება ავადმყოფი წუთი სოფელსაც გამოესალმოს. ექიმის ადგილს იჭერს გუდ. დახელია, რომელიც ათასნაირ ცრუ მორწმუნეობასავრცელებს ხალხში. ამ ვაჟ-ბატონს ორი წლის წინად ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული. მაშინ თავი დაანება მარჩიელობას. ახლა ამ რეაქციის დროს ამანაც გამოჰყო თავი და შეუდგა თავის საქმეს.

სიმინდს ცუდი პირი უჩანს. ჯერ გაზაფხულის გვალვამ და მერე ივლისის გამუდმებულმა ნიავდვარმა ცუდად იმოქმედა ჭირნახულზე. სიმინდი და ბადახი ერთმანეთში არია, მარგვლის დრო გავიდა. სიმინდის უვარგისობამ ძლიერ დაადონა გლეხი გასულ წელწ აქ მოსავალი ცუდი იყო და აპრილიდან სიმინდი თითქმის ნახევარს გამოელია. ახლა ასში ერთს არა აქვს, ნახევარი მცხოვრები ხილით იკვებება. უფრო უჭიდურეს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი გადამწვარ და გადასახლებულთა ოჯახობანი. ამათ ერთი კაპეიკის დახმარება არავისგან არ მიუღიათ. საჭიროა დაუყონებლივ დახმარება. **ნოე გ—ა.**

—

**ქიზიყი.** სხვა და სხვა გაჭირვებასთან ერთად ქიზიყს ქურდობაც ეწვია. სხვათა შორის, ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ქიზიყელები ზაფხულობით კალოებზედ არიან და სოფლები ცარიელია ხოლმე. ამიტომ ქურდები დღისით თავისუფლად დათარეშობდნენ და სახლიდან ყველაფერი მიჰქონდათ, რასაც კი მოახელებდნენ. საპნის პირებსაც კი იპარავდნენ. ამ მოვლენამ ძრიელ შეაწუხა და შეაფიქრიანა ქიზიყელები. ბოლოს ქურდ-ბაცაცების ასალაგმავადაც მოიცადეს ქიზიყელებმა. პირველად არ ბოშიკელებმა შემოიღეს ჯერჯერობით ყარაულობა და ძველ ქურდებს თვალყურს ადევნებდნენ. ორმა მათგანმა კიდევ გაიმეორა თავისი მოქმედება, რის გამოც აღელვებულმა ხალხმა კინაღამ ჩაქოლა. ზოგიერთი რჩევით სიკვდილი გადასახლებით შეუცვალეს. ს. ბოდბის-ხევში ორ დედაკაცს შეუცვივდნენ ფულის წასართმევად. ერთი მათგანი შიშისაგან მოკვდა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა სოფელში. ბოდბისხეველები შეიკრიბნენ და იქამდე გულ მოსულები იყვნენ, რომ პირდაპირ იწევდნენ დამნაშავეთა დასახოცად. მაგრამ ზოგიერთებმა შეუშალეს ხელი და ქურდობის მოსასპობად შემდეგ საშუალებას მიჰმართეს. ურიდობაზე დაადგინეს, რომ ქურდებსა და ყაჩაღებს მოესპოთ თავიანთი მოქმედება და სოფელს დაბრუნებოდნენ. ამის გარდა სოფელი დაჰყვეს უბნებად და თვითეულ უბანში მოაწყეს ჯერჯერობით ყარაულობა. ამის შემდეგ კი თითქმის ყველა სოფელში მოაწყეს ჯერჯერობით ყარაულობა და მიზანს ახწევენ კიდეც. უკანასკნელის კვირის განმავლობაში ქურდობა იშვიათი მოვლენაა.

საქართველოში ბიბლიოთეკა სოფლად პირველად ს. ქვემო-მაჩხაანში დაარსდა დ. მაჩხაანელის ინიციატორობით. მაგრამ, საუბედუროდ, სხვა და სხვა მიზეზისა გამო სადათას ძილს მიეცა. ეხლა ხალხში კითხვის და ცოდნის შეძენის სურვილი თანდათან იღვიძებს, ქიზიყელებმაც დაინახეს სწავლის საჭიროება. ამ მიზნით ოდესღაც არსებული ბიბლიოთეკა ხელმეორედ აღადგინეს. რომ ბიბლიოთეკამ იარსებოს და ხალხის ცოდნის წყურვილი დააკმაყოფილოს, საჭიროა ყოველ მხრივი დახმარება. ს. ბოდბის-ხევშიაც დააარსეს ბიბლიოთეკა.

წელს ქიზიყში ბევრი წარმოდგენები გაიმართა. სამწუხაროდ, სცენის მოყვარენი რიგიანად არ ეკიდებიან საქმეს. **იგო.**

# რუსეთი

✦ **პარტიული ცხოვრება და მომავალი არჩევნები.** კონს. დემ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებენ პროვინციიდან, რომ მემარცხენეთ უფრო დიდი გავლენა აქვთ ხალხზე, ვიდრე კადეტებსაო. თვითონ კადეტთა ადგილობრივი ორგანიზაციები ცერად უყურებენ მემარჯვენე კადეტებს და ჰკიცხავენ კ. დ—თა საპარლამენტო ფრაქციის ტაქტიკას. პროვინციალურმა ორგანიზაციება გადასწყვიტეს არჩევნებში მარტონი გამოვიდნენ და მხოლოდ ზოგიერთს შემთხვევაში შეუკავშირდნენ ეროვნულ ჯგუფს. პოლონელებს, მაჰმადიანებს, ქართველებსა და სხ. გამარჯვების იმედი მაინცა და მაინც არა აქვთ. იწერებიან: ზოგან მოსალოდნელია მემარჯვენეთა გამარჯვება. ზოგან კი „ჭეშმარიტები“ და ოქტომბრისტები იმდენად ძლიერნი არიან, რომ საარჩევნო ასპარეზზე გამოსვლა არც კი ღირსო.

✦ **ძველი წესები.** პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს საერო განათლების მინისტრისაგან მიუღია ცირკულიარი, რომლითაც მინისტრი აუწყებს რექტორს, რომ სავსებით უნდა იქნას შესრულებული ძველი წესი შესახებ ახლად მიღებულ სტუდენტებისა—უნდა ჰქონდეთ მოწმობა პოლიციისაგან შესახებ მისი პოლიტიკურ პიროვნებისა და ფოტოგრაფიული სურათები. ამიტომ სტუდენტი მოვალეა ჩვეულებრივ მოწმობების გარდა წარმოადგინოს ზემოხსენებული მოწმობა და ორი ფოტოგრაფიული სურათი. ვინც ამას არ შეასრულებს, მისი თხოვნა განუხილველი დარჩება.

✦ **გაფიცვა.** 16 აგვისტოს პეტერბურგში გაიფიცა 800 მუშა რუსეთის მანუფაქტურის ფაბრიკისა. მიზეზად ის წამოაყენეს, რომ ფაბრიკის ადმინისტრაციამ არ შეასრულა დაპირება და მუშებს ჯამაგირი არ მოუმატა.

✦ **პროფესიონალურ ცხოვრების განახლება.** 15 აგვისტოს პეტერბურგში პირველად მოხდა კრება ამას წინად დაკეტილ და ხელმეორედ განახლებულ მბეჭდავთა პროფესიონალურ კავშირისა. კრებას დაესწრო გრადონაჩალნიკის მიერ გამოგზავნილი მოხელე და ერთი პოლიციელი. კრებამ სხვა საქმეთა გარდა გაარჩია საკითხი შესახებ გაფიცვისა გაევსკის ქარხანაში და დაადგინა: რადგან მუშები დამარცხდნენ ამ გაფიცვაში, ამიტომ ნება მიეცეს მსურველთ განაახლონ მუშაობა. კიბელის ლიტოგრაფიაში გაფიცვა ჯერ არ გათავებულა. კრებამ დაადგინა საქმეში ჩაერიოს და როგორმე მოარიგოს ორივე მხარე.

✦ **დაიწყო!** მოახლოვდა საარჩევნო ხანა და მთავრობამაც დაიწყო თავისი პოლიტიკა. აღმოჩნდა თუ არა, რომ ნოვოჩერკასკში მომავალ არჩევნებში უეჭველად გაიმარჯვებს კადეტი აპონასოვი, მაშინვე აფრინეს დეპეშები პეტერბურგში და აპონასოვი დააპატიმრეს—რევოლიუციონერიაო. დაპატიმრება გასჭრა: შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით აპონასოვს ორი წლით ცხოვრება აეკრძალა დონის ოლქში. შედეგად ამას, რასაკვირველია, მხოლოდ ის მოჰყვება, რომ აპონასოვს უეჭველად აირჩევენ მომავალ სათათბიროში.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისის ცნობილმა დრამატურგმა ჯორჯ ბერნარდ შოუმ დააარსა ახალი პარტია „სოციალისტ-ჯენტლემენებისა“. კარგა ხანია, რაც მან ბელეტრისტიკას თავი დაანება და პოლიტიკურ მოღვაწეობას შესწირა თავისი ნიჭი. მისი აზრით, სოციალისტობისა და ჯენტლემენობის შეერთება ძალიან ადვილია. მას საკუთარი ყოველ კვირეული გაზეთი აქვს, სახელად „clarion“. შოუს აზრით, „მისი საკუთარი ახალი პარტია“ უნდა შესდგეს კაპიტალიზმის რენეგატებისგან, არისტოკრატიულ ოჯახთა უნცროს შთამომავლებისაგან, რომელთაც არავითარი მემკვიდრეობა არ რჩებათ, და იმათგან, ვისაც პლუტოკრატიულ წრეებში ბედმა უღალატა. ღარიბები და მუშები პარტიაში ვერ შევლენ, რადგან მათთვის „ჯენტლემენობა“ უცნობი ხილია. მათ არც სოციალისტობა შეუძლიანთ, ვინაიდგან ღარიბი ხალხი საზოგადოთ ცრუმორწმუნეობით არის გაჟღენთილი. პარტიაში შესვლა შეუძლიან აგრეთვე ატეისტ-ჯენტლმენებს, რომელთაც უნდა დაამტკიცონ, რომ თვითონვე შეიმუშავეს საკუთარი რწმენა და არა მშობლებისაგან ჩაინერგეს თავში. პარტიის წევრმა, 30 წელს გადაცილებულმა, უეჭველად ცოლი უნდა შეირთოს. ლოთებსა და მოთამაშეთ პარტიაში შესვლა აკრძალული აქვთ. პარტიის დამაარსებელი აცხადებს: „მე არასდროს არ ვასუფთავებ ჩემს ჩექმებს და სადღეო პერანგით არ ვიძინებ“. ასეთია დევიზი ახალ პარტიისა.

ადვილი მოსალოდნელია, რომ ასეთ პარტიაში ჩემბერლენი და ბალფურიც ჩაეწერნენ. თუ ასე წავიდა საქმე, მალე მთელი ქვეყანა გასოციალისტდება.

## წერილი რედაქციის მიმართ

გუშინდელ «ისრის» ნომერში დაბეჭდილი იყო, რომ ვითომ მე დამედო საქართველოს სინოდის კონტორის კასის ფული 21 მ. ეს შეცდომაა: მე ყოველივე ანგარიში გავუსწორე კასას და არც ერთი გროში არა მმართებს. ეტყობა, რეპორტერისათვის სწორედ ვერ გადუციათ საქმის გარემოება და ამიტომ გავრცელდა ჩემს შესახებ ასეთი უსასიამოვნო ამბავი. ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი. დასამტკიცებლად ამისა ვადგენ კასის გამგეობის მოწმობას.*)

**გიორგი დალაქიშვილი.**

*) მოწმობიდან სჩანს, რომ ბ-ნ დალაქიშვილზე არავითარი ვალი კასისა არ არის. **რედ.**

სი მოქმედება მთავრობისა და აუცილებლობა იმის გადაყენებისა, გამოცვლისა, უნდა დავამტკიცოთ, რომ მთავრობას არაფრის გაკეთება არა სურს, რომ მთავრობა ხალხის მტერია და საჭიროა მასთან ბრძოლა.

ოღონდაც, რომ საჭიროა ასეთი ქადაგება, მაგრამ საჭიროა დღეს ამისთვის სათათბირო? ყოველს სოციალისტურ პარტიას საკმაო სხვა საშუალება მოეპოება, რომ იქადაგოს ხალხში დღევანდელ წესწყობილების წინააღმდეგ. ჩვიდმეტი ოქტომბერი მომზადდა სათათბიროს გარეშე და არა სათათბიროს შემწეობით, საფრანგეთში დიდი რევოლიუციის ხალხის წარმომადგენელთა კრებულმა გარედან მოიპოვა ძალა. ახლა უფრო ადვილია ხალხში ქადაგება, იმიტომ, რომ თვითონ მთავრობა ხელს უწყობს ამას თავის რეპრესიებით და ყოველ დღიურის მუშაობით. თვითონ მთავრობა უმტკიცებს ხალხს ისე, როგორც ამას ვერ მოახერხებდა ვერც ერთი მჭერმეტყველი მქადაგებელი, რომ მას ხალხთან არაფერი საერთო არა აქვს, რომ არაფერს არ დაუთმობს ხალხს, რომ მისი მიზანი ხალხის სრული დამონება, დაბეჩავება და შებორკვაა. განა საკმაო და ძლიერი საბუთი არაა ის სახრჩობელა, რომელიც აღმართეს ხალხის წინაამდეგ, ის განუწყვეტილი სისხლის ღვრა, რომელმაც ლამის წითლად შეღებოს მთელი რუსეთი? გადამწვარი ქალაქები და განადგურებული სოფლები, რომლებიც ველურთა შემოსევას მოაგონებენ ადამიანს? ვის ან რას შეუძლია ასე ძლიერ იღაღადოს მისი ვერაგობა, როგორც ამას ღაღადობს ყოველდღე ხოცვა-ჟლეტა, ცარცვა გლეჯა, ავსებული ციხეები, და სხვა ათასი ამისთანა? განა შეიძლება მეტის თქმა, რაც სთქვა ორმა უდროოდ გამორეკილმა სათათბირომ და რასაც ამბობენ დევნილი და საპყრობილეებში გამომწყვდეული საუკეთესო დეპუტატები?

თუ ვისმე იმედი ჰქონდა სათათბიროს მოღვაწეობისა, თუ ვინმე ჰფიქრობდა, რომ მთავრობა მშვიდობიან გზას დაადგებოდა და შეუდგებოდა განახლებას, ორმა სათათბირომ ნათლად დაამტკიცა, რომ ყოველივე ასეთი იმედი სრულიად უსაფუძვლოა. მთავრობამ გულახდილად, მოურიდებლად უთხრა სათათბიროს და მით მთელს რუსეთს, რომ ის (მთავრობა) არ განახორციელებს არც ერთს რეფორმას, რომელსაც მიზნად ექნება რუსეთის განახლება. ნამეტურ სამ ივნისის კანონით ისე დასცინა ხალხს და ისე გასთელა ფეხით მისი პიროვნება და უფლება, რომ სულ მეტია რაიმე საერთო მუშაობაზე და შეთანხმებაზე ლაპარაკი! მთავრობა და ხალხი ისე დაშორებულნი არიან ერთმანეთს, როგორც არ ყოფილან 16 ოქტომბერს; მათ შუა დღეს უფრო დიდი უფსკრულია და ამ უფსკრულზე ხიდის გადება არავის ძალუძს. მთავრობას ძალა აქვს ხელში და მასთან საუბრობა მეტია. პირველმა და მეორე სათათბირომ მოახდინეს საჭირო დემონსტრაცია, მათის შემწეობით უფრო გამოუაშკარავდა ხალხს მთავრობის ვინაობა. მაგრამ ამის განმეორება აღარაა საჭირო, მესამე სათათბირო ახალს არაფერს ეტყვის ხალხს და ახალ არჩევნებზე მოწვევა დიდი შეცდომაა. როცა ჩვენ გავდივართ დღეს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, ამით ვქმნით ილუზიას, ხალხს ვუღვიძებთ და ვუმტკიცებთ ცრუ იმედს, ვითომ კიდევ შესაძლებელია მორიგება, შეთანხმება, დათმობა მთავრობის მხრივ. ამით ვცდებით, ვშორდებით ნამდვილ საქმეს, ვკარგავთ დროს და ენერგიას უნაყოფოდ. არა, სხვანაირი მუშაობაა საჭირო, სულ სხვა მხრისკენ უნდა იყოს მიმართული ძალ-ღონე. დღევანდელ არჩევნებით უნდა ვისარგებლოთ მარტო იმისათვის, რომ გავუკვლიოთ ხალხს ნამდვილი გზა გამარჯვებისაკენ, გავუფანტოთ მას ყოველივე ცრუ იმედი, განუმტკიცოთ ის რწმენა, რომ მხოლოდ ბრძოლით მოიპოვებს თავის უფლებას და დღეს, ის, რაც ხალხს სწადია, განხორციელდეს ცოტა გვიან, მაგრამ განხორციელდეს სავსებით, მტკიცედ ისე, რომ შეუძლებელი გახდეს განმეორება იანვარ-თებერვალ-მარტისა.

საერთო რეაქციამ ზოგიერთი სოციალისტების ჩათრევაც იცის და უკანასკნელები იწყებენ ლაპარაკს კომპრომისსა და ზომიერებაზე. ასეთ დროს უფრო გვმართებს მხნედ ვიყოთ და წმინდად დავიცვათ ჩვენი მოძღვრება და ტაქტიკა: შეურყევლად გვწამდეს მუშა ხალხი და რევოლიუცია, გამარჯვება მისია! **გ—ი.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რ უ ს ე თ შ ი.**

22 აგვისტო.

**ოდესა.** ქუჩებში თავდასხმა შესწყდა. მშვიდობიანობა მყარდება. ქუჩებში დადიან პატრულები. ხვალისთვის ლიტანიაა დანიშნული და გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა საჭირო ზომები მიიღონ, თუ ვინიცობაა ვინმე ძალადობას მოახდენს.

**სევასტოპოლი.** დააპატიმრეს აივაზოვი, ჟანდარმთა ვახმისტრის ევდოკიმოვის დამჭრელი და მისი შვილის მკვლელი.

**კიელცი.** კელცის მაზრის ეკატერინის მონასტრის მახლობლად 7 შეიარაღებული კაცი დაუს დაესხა გალიციის ვაჭარს ფრისტერს, ხროლა აუტეხეს, 83 ავსტრიული კრონა წაართვეს და მიიმალნენ.

**მოსკოვი.** მიასნიცკის ქუჩაზე აღმოაჩინეს კირსტენის სტამბის თავდამსხმელი ბრბო. იპოვნეს ორი მოწოდება ს.-რევოლიუციონერების გაფიცვის მომწყობ კომიტეტისა, პარტიის რამდენიმე წიგნაკი და 250 პროკლამაცია.

**ლოძი.** პოლიტიკური პატიმარი ქალი სატუსაღოში მიჰყავდათ. გზაზე ვიღაცამ სროლა აუტეხა კონვოის და დასჭრა იქვე ახლო მიმავალი „ოხრანნი“ განყოფილების აგენტი და ერთიც გარეშე. პატიმარი ქალი გაიქცა.

**ჩერნიგოვი.** ნეჟინის მაზრის სოფ. დრემანოვკაში სროლა ასტყდა სტრაჟნიკებსა, დრაგუნებსა და ავაზაკთა შორის. ერთი ავაზაკი მოჰკლეს, ორი შეიპყრეს, ერთიც გაიქცა.

**ლიუბლინი.** დააპატიმრეს ბრონშტეინი, 19 აგვისტოს მინკოვიცის სადგურის გამარცვის მონაწილე. უპოვნეს კალათი, რომელშიაც ეწყო დინამიტი, 200 პატრონა, 4 ბრაუნინგი, მაუზერი, ფიკფორდის ზონარი და სასიგნალო სასტვინავი.

**სიმფეროპოლი.** ბახჩი-სარაიში იწვის ყირიმის დრაგუნის პოლკის ყაზარმები.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა, შეიცვალოს 5, 6 და 9 მუხლები იმ წესდებისა, რომელიც სავაჭრო-სამრეწველოებში ნორმარულ მუშაობა-დასვენებას შეეხება. სრულიად აკრძალულია მუშაობა აღდგომას, შობას და სული წმიდის მოფენის პირველ დღეს, კვირასა და საუფლო დღესასწაულებში. ამ წესდების გადახვევა შეიძლება მხოლოდ სავალდებულო დადგენილების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 5 საათისა დღეში. თამბაქოს და სანოვაგე დუქნებში და ბეჭდვითი ნაწარმოების გამყიდველებს არა უმეტეს 12 საათისა.

სახალხო განათლების სამინისტრომ დანიშნა მთელი სამოსწავლო წლის საუნი-[illegible]

[illegible]

ხის განსახილველად. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ საერო განათლების და შინაგან საქმეთა სამინისტროების და მაჰმადიანთა წარმომადგენლები.

უმაღლესად დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი: გადაიდოს 500,000 მანეთი პრიმორსკის ოლქში გადასახლების საქმის მოსაწყობად და გამონახულ იქნას 1,255,500 მანეთი იმ ფულის დასამატებლად, რომელიც გადასახლების საქმისთვის გადაიდო.

**ლოძი.** როზენბლატის ბამბეულის ფაბრიკის მუშებს ანგარიში გაუსწორეს. მიზეზი ერთი განყოფილების გაფიცვაა.

**უ ც ხ ო ე თ ი.**

22 აგვისტო.

**ბერლინი.** ანტვერპენიდან იუწყებიან: ნავთსადგურის მიდამოებში გაფიცულები საქონლის ვაგონებს აჩერებენ. გააჩერეს ვაგონი, რომლითაც ინგლისელი მუშები გადაჰყავდათ. მეორე ვაგონი დასწვეს. მღელვარება ძლიერდება. პოლიცია უღონოა არეულობის მოსასპობლად და იძულებულია იარაღს მიმართოს. ფიქრობენ, დაუყონებლივ მოიწვიონ სამოქალაქო გვარდია.

**პარიზი.** ადმირალი ფილიბერი იუწყება: მაზაგანში მშვიდობიანობაა. მულაი-გაფიდის ელჩებსა და მაზაგანის წარჩინებულ პირთა შორის მოლაპარაკებაა. კაზაბლანკასთან შეტაკება კიდევ მოხდა. მაროკოლები გავფანტეთ. სამხედრო გემები „გლუარი“ და „გეიდონი“ მონაწილეობას იღებდნენ. სხვა და სხვა ზარბაზნიდან 60-ჯერ გაისროლეს.

23 აგვისტო.

**პარიზი.** ლუვრის მუზეუმში ახალ-გაზდა ქალმა მაკრატელით დასჭრა სურათი ენგრასი „მესა სიქსტინის კაპელაში“ და განაცხადა, მსურდა, რომ დავებატიმრებინეთო.

„ტანი“ ათაზეგ აზამის მოკვლის გამო ამბობს: დიდად სასიხარულოა, რომ რუსეთს და ინგლის შორის შეთანხმება მოხდა. თუ სპარსეთში არეულობა მოხდა, ისე ჩააქრობენ, რომ ევროპიელთა ინტერესები არ შეილახება.

პარიზის გაზეთებში დაბეჭდილია მულაი გაფიდის მოწოდების ტექსტი, სადაც ის ამბობს, რომ მუსულმანებს უჯას დაჭერა ხუმრობა ჰგონათ, ამის გამო მტერმა უდიდესი ქალაქი კაზანბლანკა დაიჭირეს, ხალხი განდევნეს და სხვა ქალაქების დასაჭერად ფლოტი გამოგზავნეს. მულაი გაფიდმა აღასრულა საერთო სურვილი მაჰმადიანებისა, რომ ის სულთანად ყოფილიყო აღიარებული, რათა მას დაეცვა მათი ინტერესები და მტერი ზღვისკენ განედევნა.

**ტანჟერი.** ბენიგასთა ტომის ხალხმა მულაი გაფიდი სულთანად აღიარა და ლარირანს დაემუქრა, თუ თქვენც გაფიდი სულთანად არ აღიარეთ, აგიკლებთ და გაგანადგურებთო.

**ბერლინი.** რეტელდესა და შტრაუსბერგის შუა ლიანდაგიდან გადავარდა სწრაფი მატარებელი. ვაგონები იწვის. მემანქანე და 8 მგზავრი დაშავდა.

2000 მარკა დაუნიშნეს საჩუქრად იმას, ვინც აღმოაჩენს დამნაშავეს. ბოროტმოქმედი რამდენიმე იყო. მათ რელსები აჰყარათ და ბურღები ამოეღოთ. დაიწვა მეორე კლასისა და სასადილო ვაგონები. დაჭრილები ბერლინსა და მის მიდამოებში ცხოვრობენ. „ბერლ. ტაგებ.“-ის ცნობით, დამნაშავე დათხოვნილი მუშაა.

**ანტვერპენი.** გუშინ მთელი საღამო ნავთსადგურის გარშემო არეულობა იყო. პოლიცია ხალხს ერეკებოდა. რამდენიმე კაცი დაიჭირა. სროლაც იყო. გაფიცულებმა ნავთი გადაასხეს შემის საწყობს და დასწვეს.

**სიმლა.** რაჯამენდრეგში (სამხრეთ ინდოეთშია) ინდოელმა ფანჯრიდან მოჰკლა პოლიციის აფიცერი ბელი და თვითონაც თავი მოიკლა. მისი დამარხვის დროს დემონსტრაცია მოხდა, მაგრამ პოლიციამ მალე გაჰფანტა დემონსტრანტები. მკვლელობა იმით ახსნეს, რომ უკანასკნელ დროს მძლავრად მოიკიდა ფეხი აგიტაციამ ევროპიელთა წინააღმდეგ.

**ლონდონი.** „დეილი ტელ.“-ს ფეციდან ატყობინებენ: მოჰკლეს ორი ძმა ტაცი, გარეშე საქმეთა მინისტრი აბდულქერიმი და სულთანის მეორე წარმომადგენელი ტანჟერში განამატაცის აზრალებდნენ, პირადი ინტერესების გულისთვის სახელმწიფო დაღუპაო.

**კაზაბლანკა.** მზვერავი რაზმი დაბრუნდა, ქალაქ გარეთ მას ბრძოლა ჰქონდა. არაბებს მრავალი დაეხოცათ. ფრანგებს მოუკლეს 8, მათ შორის ლეგიონის უფროსი ცროვო და ლეიტენანტი, და დაუჭრეს 17.

გენერალმა დრუდმა ზღვის ნაპირზე გაზავნა რაზმი, რომელსაც დაესხნენ არაბები. რაზმმა ისროლა, მოიგერია და უკან დაბრუნდა.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. აბალიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

**ბაქოს:** 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს:** 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3 წ.).

**ბორჯომს:** 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

ტფილისში მოდის.

**ბაქოდან:** 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქ. ნაკაშარდიანისა**

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნაკაშარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანაზოვი:** 10—11 ს. საბეჭო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. მუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ვ. ი. გელეიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. მ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შერმანინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მკურნ. დოქტორი **ზ. ა. ნაკაშარდიანი**

(150—ხალ.—137)

**წიგნის მაღაზია**

**„ნოვაია რეჩ“**

(ახალი სიტყვა)

გოლოვინის პროსპექტი. სახაზინო თეატრის პირდაპირ.

მიღებულია სახელმძღვანელოები

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ყველა სასწავლებლებისათვის.

**მასწავლებლებს სახელმძღვანელოები 10% ნაკლებ დაეთმობათ.**

10—6.

უმორჩილესად ვთხოვ ყველა იმათ, ვისაც მიღებული ჰქონდა გასასყიდად პავლე აკობიას ბროშურები:

1. „ხალხის მტერია სოციალ-დემოკრატია“.
2. „ბნელეთის ევოლიუცია, თავვ-ეშმაკთ რევოლიუცია“.
3. „სესია“ (მეგრული ლექსთა კრებული.
4. სოციალ-დემოკრატიამ მოატყუა გლეხები“.

სოხუმში, ბათუმში,
ფოთში, ოზურგეთში.
ქიათურაში, ყვირილაში,
გორში, სურამში,
ახალციხეში, თელავში,
სიღნაღში, საგარეჯოში
და ბაქოში.

გამოგზავნონ გაუყიდავი ბროშურები და გაყიდულის ფასები შემდეგის ადრესით: Тифлисъ—типографія „Идеалъ“.

(5—6—3)

უკვე დაიწყო ბეჭდვა და ნოემბრის პირველ რიცხვებში გამოვა ქართული

**„დროების კალენდარი“**

**დამდეგი 1908 წლისათვის.**

**„დროების კალენდარი“ შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება მრავალი თანამედროვე ცნობები და ჩვენ ცხოვრებაში მომხდარი შესანიშნავი მოვლენანი**

კალენდარი იქნება დიდი ზომისა (ორ სვეტად, პარიზის ასოებით) და შეიცავს 200 გვერდს.

აგრეთვე იბეჭდება და ვინც „დროების კალენდარს“ იყიდის, იმას პრემიად მიეცემა

**კედლის კალენდარი**

კალენდარი იქნება დიდი ზომისა. თითო ფურცელში თითო თვე იქნება მოქცეული და ფერადის კრასკებით დაიბეჭდება.

„დროების კალენდარში“ დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ქართულსა, რუსულს და სომხურს ენაზე.

**ფასი განცხადებისა:** კალენდარის დასაწყისში მთელი გვერდი ღირს 15 მან., ნახევარი გვერდი—9 მან., მეოთხედი გვერდი—5 მან.; კალენდრის ბოლოში მთელი გვერდი—12 მან., ნახევარი გვერდი —7 მან., მეოთხედი გვერდი—4 მან. ვინც განცხადებას დაბეჭდავს არა ნაკლებ 7 მანეთისა, იმას ერთი კალენდარი გაეგზავნება **უფასოდ**

დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ამ წლის პირველ ოქტომბრამდე.

ვინც მოისურვებს „დროების კალენდრის“ რამდენიმე ცალის ერთად დაკვეთას, იმან უნდა ადრევე აცნობოს, რომელთაც 30% დაკლებით დაეთმობათ.

ადრესი: ტფილისი, ნიკოლოზის ქ., «იდეალის» სტამბა. **„კალენდრის“** გამომცემელს.

**ახლად მოწყობილი სტამბა „იდეალი“**

მიიღება ყოველგვარი **საქმე რუსულ და ქართულ ენაზე**

**ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი“**

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გატეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით:** არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შველას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ესენციაა,** იგი **ძალის მომმატებელია.** „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. **„სპერმატინი“** შედეგია **ბრაუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოქარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

«**მ. ხ. ზ. ივანოვ!** სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენის სასწაულთ-მომქმედ «სპერატინისთვის». 10 წელზე მეტს ვიტანჯებოდი ძალის სისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით. იქამდი მივედი, რომ თავის მოკვლა განვიზრახე. ერთ წუთს მოსვენება არა მქონდა, ყველაფერი მაბრაზებდა, სულ მცირე რამეც, ყველაფერზე ვტიროდი. „სპერმატინის“ ორი ფლაკონის მიღების შემდეგ მხნედ ვიგრძენ თავი, სიმშვიდე მომეფინა, გული დამიმშვიდდა, ძილი და მადა დამიბრუნდა, ერთის სიტყვით—სულ განვახლდი. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმერთს ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივისმცემელი **ნ. ბოსსი.** მოსკოვი, მე-2 მეშჩანსკაია, ს. პოლიაკოვისა, № 11, ბ. № 21. 24 ნოემბერი 1906 წ.».

„**მ. ხ. ზ. ივანოვ!** სიამოვნებით ვაცხადებ, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიის „სპერმატინმა“ დიდი შველა მოგვცა მე და ჩემ ცოლს ნერვების მოშლისა და ტანჯვის დროს. მოსკოვის ბავშვთა სოფიის საავადმყოფოს მეაფთიაქეს თანაშემწე **ს. კიუმენკერ.** 19 აპრილი 1907 წ.“

„ივანოვის „სპერმანტინის“ ლაბორატორიაში („სპერმინი“). მ. ხ. მე ვიტანჯებოდი დიდი ხნის ბუასილით და ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე მიკანკალებდა ხელები. ვცადე თქვენი „სპერმატინი“ და თუმცა წამლობის დროს გარემოება ხელს არ მიწყობდა, მაინც ვამოწმებ, რომ ჩემზე მან კარგად იმოქმედა: განვახლდი და გამოვკეთდი. გადავწყვიტე ვისარგებლო მეც და ჩემმა ოჯახობამ. იგი საუკეთესო გამამაგრებელი საშუალებაა. პატივისცემით **ს. ნ. ივანოვი.** მოსკოვი, როგოჟსკაია, 3 პერ., ს. ივანოვისა, 1 მაისი 1907 წ.“.

**მ. ხ. ზ. ივანოვ!** მე ვიტანჯებოდი ანემიით და ძალ-ღონის სისუსტით. გადავწყვიტე მესარგებლნა თქვენის „სპერმატინით“. ორის ფლაკონის მიღების შემდეგ უკეთ ვიგრძენ თავი. ვგრძნობ, რომ დაკარგული ენერგია და ღონე მიბრუნდება. გაჰქრა აპატია, მაგრამ კიდევ მსურს განვაგრძო „სპერმატინის“ ხმარება სრულიად მორჩენამდე. გიძღვნით გულწრფელ მადლობას შემწეობისთვის. **მიხეილ პეტრეს ძე გრიგორიევი.**

„სპერმატინი“ განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით „სპერმანი“ ნ. ნ. ივანოვისა და ამხ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ“-მა ნ. ნ. ივანოვისამ, დღეს კი, „სპერმატინმა“ ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აურებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორ-ჯელ ძვირი აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა, № 4. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება.** (6—212—5)

**ნამდვილი კახური ღვინო**




ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომი. (100—93)